მმართველობის ანგარიშგება

ლენდო ჯგუფი

Lendo.ge

2018 წელი

დამოუკიდებელი აუდიტორის მოსაზრება "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად

ლენდო ჯგუფის დამფუძნებლებსა და ხელმძღვანელობას

ჩვენ გამოვთქვით მოდიფიცირებული მოსაზრება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2019 წლის 24 სექტემბერს. აუდიტირებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს იმ მოვლენებს, ინფორმაციასა და მათ შედეგებს, რომლებიც ცნობილი გახდა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორის მოსაზრების გაცემის შემდგომ. კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაში აღწერილი მოვლენები, ინფორმაცია და მათი შედეგები, რომლებიც ცნობილი გახდა კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებაზე აუდიტორის მოსაზრების გაცემის შემდგომ, არ არის ჩვენს მიერ აუდიტირებული.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ჯგუფის მმართველობის კონსოლიდირებული ანგარიშგება მოამზადოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება ჯგუფის მიერ წარმოდგენილი კონსოლიდირებული მმართველობის ანგარიშგების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვდენილობაზე და ასევე - მოიცავს თუ არა იგი "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- 2018 წლის მმართველობის კონსოლიდირებული ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, თანხვედრაშია 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით;

- მმართველობის კონსოლიდირებული ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მოიცავს "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას;

- ჯგუფის ყველა შვილობილი საწარმო არაარსებითია როგორც ინდივიდუალურად, ისე ერთობლივად და სხვაობა მმართველობის ინდივიდუალურ და კონსოლიდირებულ ანგარიშგებებს შორის ასევე არის არაარსებითი.

ივანე ჟუჟუნაშვილი (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-720718)

შპს „ბიდიოს" სახელით

13 დეკემბერი 2019

შინაარსი

შესავალი 4

საქმიანობის მიმოხილვა 4

მმართველობის კონსოლიდირებული ანგარიშგების წარმდგენი სუბიექტის შესახებ ინფორმაცია 4

ჯგუფის მისია, მიზნები და ამოცანები 4

გეოგრაფიული არეალი 5

ჯგუფის ძირითადი პროდუქტები 5

საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები 6

ფინანსური კოეფიციენტების მიმოხილვა 9

ძირითადი არაფინანსური მაჩვენებლები 10

ჯგუფის განვითარების გეგმები 11

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები 11

ანგარიშგების მომზადებასა და წარმოდგენაზე პასუხისმგებელი პირები 13

შესავალი

2016 წლის 8 ივნისს საქართველოს პარლამენტმა „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონი მიიღო, რომლის მიზანს ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის მარეგულირებელი ჩარჩოს შექმნა და ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებული ევროკავშირის აქტებთან დაახლოება წარმოადგენს. კანონმა მმართველობის ანგარიშგების მომზადებისა და წარმოდგენაზე ახალი სამართლებრივი მოთხოვნები შემოიღო. კანონის მოთხოვნები ანგარიშგებების წარმოდგენასთან დაკავშირებით საზოგადოებრივი დაინტერესების პირებს, პირველი და მეორე კატეგორიის საწარმოებზე ვრცელდება.

წინამდებარე დოკუმენტში, განხილულია „ლენდო ჯგუფის“ (შემდგომში -„ლენდო ჯგუფი“ ან „ჯგუფი“) საქმიანობის აღწერა, მომსახურების სტანდარტები და ძირითადი ღირებულებები; დოკუმენტში განხილულია ჯგუფის როგორც განვლილი მიღწევები, ისე მომავალში დასახული მიზნები. ასევე იდენტიფიცირებულია და განხილულია ის ბიზნეს რისკები რომლებიც ქმნიან უმნიშვნელო თუ სერიოზულ წინაღობებს საქმიანობისათვის. „ლენდო ჯგუფის“ მენეჯმენტის მიერ შემუშავებულ „მმართველობის ანგარიშგების“ დოკუმენტში ასახულია მმართველი გუნდის ხედვა, სამომავალო გეგმები და დამკვიდრებული კორპორაციული ეთიკის სტანდარტები.

საქმიანობის მიმოხილვა

მმართველობის კონსოლიდირებული ანგარიშგების წარმდგენი სუბიექტის შესახებ ინფორმაცია

საქართველოს კანონის "მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ" მოთხოვნებიდან გამომდინარე, შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ლენდო (შემდგომში „დედა კომპანია“ ან „ლენდო“) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსდა 2015 წლის 8 დეკემბერს და საოპერაციო საქმიანობა დაიწყო 2016 წლის დასაწყისში. დედა კომპანია რეგისტრირებულია საგადასახადო დეპარტამენტის თბილისის ოფისში, საიდენტიფიკაციო კოდით - 404504844. ლენდო თავის საქმიანობას წარმართავს მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე და მას ზედამხედველობას უწევს საქართველოს ეროვნული ბანკი (“სებ“).

დედა კომპანიას ჰყავს ერთი შვილობილი (შემდგომში, „შვილობილი კომპანია“ ან „შპს ტიო“, რომელიც შეისყიდა 2018 წლის ბოლოს და ფლობს 100%-იან წილს. შპს ტიო შეძენის მომენტისთვის არ ეწეოდა საოპერაციო საქმიანობას. წარმოდგენილ კონსოლიდირებულ მმართველობით ანგარიშგებაში მოხსენიებულია ერთობლივად „ჯგუფი“ ან „ლენდო ჯგუფი“.

შვილობილი კომპანია - შვილობილი კომპანია შპს ტიო დაარსდა 2016 წლის ბოლოს. 2018 წლის 31 დეკემბრისთვის შპს ტიოს ოპერაციები არაარსებითია გარდა მიღებული სესხების ნაშთისა (2,785,583 ლარი). დედა კომპანიის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებები არსებითად მხოლოდ აღნიშნული თანხით განსხვავდებოდა, შესაბამისად მმართველობის ანგარიშგებაში მოცემული ფინანსური ინფორმაციის ანალიზისთვის გამოყენებულია ლენდოს ფინანსური მონაცემები (გარდა მითითებული შემთხვევებისა). რეორგანიზაციის პროცესის შედეგად 2019 წლის 11 მარტს მოხდა ზემოთ ხსენებული კომპანიების შერწყმა.

შპს დინდინ ჰოლდინგი (შემდგომში, „ჯგუფის დედა კომპანია“) არის ჯგუფის 100%-იანი წილის მფლობელი. 2017 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს არ ჰყოლია საბოლოო მაკონტროლებელი მხარე.

ჯგუფის ძირითადი მმართველი ორგანო არის პარტნიორების საერთო კრება. ყოველდღიური საოპერაციო საქმიანობა ხორციელდება პარტნიორების მიერ დანიშნული დირექტორის ზედამხედველობით. ჯგუფს ასევე ჰყავს სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც შედგება სამი წევრისგან.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრები:

- თამრიკო ჭეჭელაშვილი - სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე, წევრი
- გიორგი რამაზაშვილი - თავმჯდომარის მოადგილე, წევრი
- ალექსი გოგოლაძე - სამეთვალყურეო საბჭოს წევრი

ჯგუფის მისია, მიზნები და ამოცანები

ლენდო ჯგუფის მისიაა: მომხმარებელს შევთავაზოთ მაღალი ხარისხის, სწრაფი და მოქნილი საკრედიტო სერვისი. დახვეწილი საკრედიტო მომსახურების გზით ხელი შევუწყოთ საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას, ასევე მცირე და საშუალო კლიენტების სამომხმარებლო მოთხოვნების უზრუნველყოფას.

ძირითადი ამოცანა არის: გამჭვირვალე საკრედიტო სისტემის შექმნის გზით, ხელმისაწვდომი გახდეს მიკრო სესხები ადგილობრივი ფიზიკური პირებისათვის. შესაბამისად, ჯგუფის მიზანია იყოს სტაბილურად მზარდი მიკროსაფინანსო ორგანიზაცია.

გეოგრაფიული არეალი

ლენდო ჯგუფი სესხების გაცემას ახორციელებს საქართველოს შემდეგ ქალაქებში: თბილისი, რუსთავი, გორი, ბათუმი, ზუგდიდი, სენაკი, სამტრედია, ქუთაისი. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს გახსნილი ჰქონდა 18 ფილიალი. ჯგუფი ფილიალების საშუალებით ახდენს კლიენტთან უშუალო კომუნიკაციას, რაც მარკეტინგისა, რეკლამის კარგი საშუალებაა და ასევე სესხების გაცემის პროცესს ამარტივებს.

ჯგუფის საქმიანობის ძირითადი მარეგულირებელი დოკუმენტებია:

1. საქართველოს კანონი მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ;

2. საქართველოს კანონი უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ;

3. ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესი;

4. მიკროსაფინანსო ორგანიზაციის საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის წესი;

ჯგუფის ძირითადი პროდუქტები

ჯგუფი სეგმენტაციას ახდენს ასაკის მიხედვით. სამიზნე სეგმენტს წარმოადგენენ 21-დან 75-წლამდე საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც გამოხატავენ სესხის აღების სურვილს.

2018 წლის განმავლობაში მომხმარებლებს საშუალება ჰქონდათ ესარგებლათ ჯგუფის 3 პროდუქტით:

- გრძელვადიანი სესხი 4 წლამდე ვადით, აღნიშნული პროდუქტი განეკუთნება გრძელვადიან არაუზრუნველყოფილ სამომხმარებლო სესხის კლასს. მომხმარებლებისათვის შეთავაზებული იყო სესხის მოქნილი პირობები, სესხის გაცემის ალტერნატიული გზები: ფილიალში ხელზე მიღება ან დისტანციურად საბანკო ანგარიშზე გადარიცხვა (კლიენტის დისტანციური იდენტიფიკაციით), სესხის გაცემა ხდებოდა უმოკლეს ვადაში (საშუალო დრო 10 წთ.) ჯგუფმა 2018 წლის 30 ნოემბრიდან შეწყვიტა გრძელვადიანი სესხების გაცემა და სრულად გადაერთო მოკლევადიან, 30 დღიან არაუზრუნველყოფილ სამომხმარებლო სესხებზე. გაცემული სესხების მოცულობა მაქსიმუმ 2,700 ლარს აღწევდა.
- კონვერტაცია (USD, EUR) - ვალუტის გადაცვლისას კლიენტის იდენტიფიკაცია (პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი) მოითხოვებოდა თუ დასაკონვერტირებელი თანხა ტოლი იყო ან აღემატებოდა 1,500 ლარს ან მის ექვივალენტს სხვა ვალუტაში. კონვერტაციის ოპერაციების შეწყვეტა მოხდა 2018 წლის 23 აგვისტოდან.
- სწრაფი ფულადი გზავნილები როგორც საერთაშორისო, ასევე შიდა გზავნილის (გაგზავნა-მიღება მხოლოდ ლენდოს ფილიალებში) სერვისი ფიზიკური პირებისთვის. იდენტიფიკაცია პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე. აღნიშნული პროდუქტი აქტიური იყო 2018 წლის 22 აგვისტომდე.

საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის (ქართულ ლარში)

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
აქტივები		
ფული და ფულის ეკვივალენტები	8,022,417	1,000,556
გაცემული სესხები	31,896,233	50,433,335
ძირითადი საშუალებები	2,019	489,827
არამატერიალური აქტივები	13,443	40,208
სხვა აქტივები	130,944	1,077,596
საგადასახადო აქტივი	260,933	433,198
გადავადებული მოგების საგადასახადო აქტივი	452,491	310,007
მთლიანი აქტივები	**40,778,480**	**53,784,727**
ვალდებულებები და კაპიტალი		
ვალდებულებები		
მიღებული სესხები	41,790,379	73,189,853
სხვა ვალდებულებები	7,440,710	4,358,718
მთლიანი ვალდებულებები	**49,231,089**	**77,548,571**
კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	16,239,968	263,043
დაგროვილი ზარალი	(24,692,577)	(24,026,887)
მთლიანი კაპიტალი	**(8,452,609)**	**(23,763,844)**
მთლიანი ვალდებულებები და კაპიტალი	**40,778,480**	**53,784,727**

სრული შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის (ქართულ ლარში)

	2018	2017
საპროცენტო შემოსავალი	48,625,320	35,150,080
საპროცენტო ხარჯი	(11,564,226)	(7,351,049)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი გაუფასურებამდე	**37,061,094**	**27,799,031**
სესხების გაუფასურების ხარჯი	(39,178,641)	(24,150,121)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	**(2,117,547)**	**3,648,910**
სხვა შემოსავალი, წმინდა	5,204,926	3,008,587
გაუფასურებული სესხების გაყიდვიდან მიღებული მოგება/(ზარალი)	2,933,052	(1,163,548)
საერთო ადმინისტრაციული და კომერციული ხარჯები	(9,468,644)	(10,164,305)
გუდვილის გაუფასურების ხარჯი	(3,023,067)	-
კურსთაშორის სხვაობიდან წარმოშობილი ზარალი	(92,617)	(6,835,530)
ზარალი დაბეგვრამდე	**(6,563,897)**	**(11,505,886)**
მოგების გადასახადის სარგებელი/(ხარჯი)	129,905	(124,628)
მთლიანი სრული ზარალი	**(6,433,992)**	**(11,630,514)**

კლიენტებზე გაცემული სესხები და ცვლილებები კლიენტებზე გაცემული სესხების გაუფასურების ანარიცხებში 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	კლიენტებზე გაცემული სესხები	სხვა სესხები	სულ გაცემული სესხები
გაცემული სესხები	49,735,772	157,917	**49,893,689**
დარიცხული პროცენტები	2,729,622	-	**2,729,622**
გაცემული სესხები გაუფასურებამდე	**52,465,394**	**157,917**	**52,623,311**
გამოკლებული: გაუფასურების რეზერვი	(20,727,078)	-	**(20,727,078)**
წმინდა გაცემული სესხები	**31,738,316**	**157,917**	**31,896,233**

კლიენტებზე გაცემული სესხები და ცვლილებები კლიენტებზე გაცემული სესხების გაუფასურების ანარიცხებში 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	კლიენტებზე გაცემული სესხები	სხვა სესხები	სულ გაცემული სესხები
გაცემული სესხები	72,446,353	760,577	**73,206,930**
დარიცხული პროცენტები	3,134,240	25,086	**3,159,326**
გაცემული სესხები გაუფასურებამდე	**75,580,593**	**785,663**	**76,366,256**
გამოკლებული: გაუფასურების რეზერვი	(25,932,921)	-	**(25,932,921)**
წმინდა გაცემული სესხები	**49,647,672**	**785,663**	**50,433,335**

ცვლილებები კლიენტებზე გაცემული სესხების გაუფასურების ანარიცხებში წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2018	2017
ნაშთი წლის დასაწყისში	**(25,932,921)**	**(13,250,555)**
ფასს 9 კორექტირება გაუნაწილებელ მოგებაზე	5,768,302	-
2018 წლის 1 იანვრისთვის	**(20,164,619)**	**(13,250,555)**
წმინდა ცვლილება წლის განმავლობაში	(39,178,641)	(24,150,121)
შესყიდული პორტფელის რეზერვი	(1,381,414)	(1,115,048)
ჩამოწერები წლის განმავლობაში	39,997,596	12,582,803
2018 წლის 31 დეკემბერი	**(20,727,078)**	**(25,932,921)**

2018 წლის ბოლოს ჯგუფის პორტფელმა შეადგინა 31,896,233 ლარი, რაც პერიოდის დასაწყისთან შედარებით შემცირებულია, თუმცა ჯგუფმ შეინარჩუნა უზრუნველყოფის პოლიტიკა და გააუმჯობესა პორტფელის ხარისხი. ამავდროულად, ვალდებულებები შემცირდა 49,231,089 ლარამდე და ჯგუფის დედა კომპანიამ გაზარდა საწესდებო კაპიტალი 16,239,968 ლარამდე, რამაც გააუმჯობესა ჯგუფის ლიკვიდურობა.

ჯგუფის საპროცენტო შემოსავალი 2018 წელს გაიზარდა 48,625,320 ლარამდე, მაშინ როდესაც 2017 წელს ამ რიცხვმა შეადგინა 35,150,080 ლარი. შემოსავლის ზრდა განპირობებული იყო 2018 წლის განმალობაში პორტფელის მნიშვნელოვანი ზრდით. თუმცა, ეროვნული ბანკის რეგულაციების გათვალისწინებით და ასევე შიდა გამკაცრებული პოლიტიკის გამო წლის ბოლოსთვის შემცირდა პორტფელი. ასევე, გაუფასურების ზარალი გაიზარდა 39,178,641 ლარამდე, თუმცა 2017 წელთან შედარებით ზარალი შემცირდა 5,196,522 ლარით.

ფინანსური კოეფიციენტების მიმოხილვა

ფინანსური კოეფიციენტები 2018 და 2017 წლის მდგომარეობით:

ფინანსური კოეფიციენტები	2018	2017
საშუალო სესხის პორტფელის ზომა	41,164,784	39,484,157
ლიკვიდური აქტივები/მთლიანი ვალდებულებები	16%	1%
მთლიანი კაპიტალი/მთლიანი აქტივები	-21%	-44%
კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი	-26%	-45%
საეჭვო ვალების ანარიცხები/კლიენტებზე გაცემული სესხები	-65.0%	-51%
საოპერაციო ხარჯების კოეფიციენტი	23.0%	26%
უკუგება აქტივებზე	-16%	-22%
უკუგება მთლიანი კაპიტალზე	76.1%	49%
პორტფელის მომგებიანობა	118%	89%
საპროცენტო ხარჯები/სულ კლიენტებზე გაცემული სესხები	36.3%	14.6%
მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი	17%	1%
მიმდინარე სასესხო ვალდებულების თანაფარდობა მთლიან კაპიტალთან	-494%	-308%

- საშუალო სესხის პორტფელის ზომა გაანგარიშებულია შესაბამისი წლის საწყისი და საბოლოო პერიოდისთვის არსებული სესხის მოცულობის საშუალო არითმეტიკულით.
- კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი წარმოდგენილია მთლიანი კაპიტალის შეფარდებით რისკის მიხედვით შეწონილ აქტივებზე. რისკის მიხედვით შეწონილ აქტივებს ჯგუფი განიხილავს როგორც მთლიან აქტივებს გამოკლებული ფულადი სახსრები. აღნიშნული კოეფიციენტი მცირედით არის შემცირებული 2018 წელს ვინაიდან წინა წელთან შედარებით ჯგუფმა შეამცირა გაცემული სესხების პორტფელი, თუმცა ამავდროულად გაზარდა საკუთარი კაპიტალის მოცულობაც.
- საეჭვო ვალების ანარიცხების შეფარდება გაცემული სესხების მოცულობასთან გაზრდილია მნიშვნელოვნად, რაც გამოწვეულია ჯგუფის მიერ, ფასს 9-ის აქტივების შესაძლო დანაკარგების რეზერვის განსხვავებული მიდგომით აღრიცხვის მეთოდის დანერგვით. თუმცა ამ კუთხით ცვლილებების განხორციელებამ, საშუალება მისცა ჯგუფს ადეკვატურად განესაზღვრა საკრედიტო რისკები და მათი მართვის პროცედურები.
- პორტფელის მომგებიანობა (საპროცენტო შემოსავალი/საშუალო პორტფელი) გაზრდილია მნიშვნელოვნად, რაც გამოწვეულია საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთის ზრდით.

- ლიკვიდურობის კოეფიციენტი გაანგარიშებულია, როგორც ფულადი სახსრების თანაფარდობა მთლიან ვალდებულებებთან. აღნიშნული კოეფიციენტი გაზრდილია რადგან წლის ბოლო მდგომარეობით ჯგუფის მიერ პორტფელის გაყიდვიდან მიღებული ფულის საშუალებით მნიშვნელოვნად გაიზარდა ფულადი სახსრები, ამავდროულად დაიფარა სასესხო ვალდებულებების დიდი ნაწილი წინა პერიოდთან შედარებით.
- უკუგება აქტივებზე (მთლიანი სრული შემოსავალი/მთლიანი აქტივები) შემცირებულია რაც გამოწვეულია პორტფელის შემცირებისა და წლის განმავლობაში საპროცენტო შემოსავლის მნიშვნელოვანი გაზრდით. უკუგება მთლიან კაპიტალზე (მთლიანი სრული შემოსავალი/მთლიანი კაპიტალი) გაზრდილია, რაც განპირობებულია სრული ზარალის შემცირებითა და საკუთარი კაპიტალის ზრდით. ძირითადი გავლენა ამაზე იქონია საკრედიტო რისკების პოლიტიკის ცვლილებამ(საეჭვო ვალების ანარიცხების ზრდა) და სხვა ადმინისტრაციული და საოპერაციო ხარჯების გაზრდამ. ჯგუფი იმედოვნებს, რომ შესაძლებელია ახალი გრძელვადიანი ინვესტიციების მოზიდვის და საოპერაციო ხარჯების შენარჩუნება/შემცირების შემთხვევაში აღნიშნული მაჩვენებლების ზრდა.
- მიმდინარე სასესხო ვალდებულების თანაფარდობა მთლიან კაპიტალთან შემცირებულია, რადგან უნდა აღინიშნოს რომ სასესხო ვალდებულების შემცირება განხორციელდა ჯგუფის დედა კომპანიის მიერ გაცემული სესხის კონვერტირებით საკუთარი კაპიტალში.

ძირითადი არაფინანსური მაჩვენებლები

თანამშრომლები -ლენდო ჯგუფში 2018 წლის ბოლოსთვის დასაქმებულია 17 თანამშრომელი, საიდანაც 3 ქალია და 14 მამაკაცი. ჯგუფს ჰყავს საკმაოდ ძლიერი, ერთგული და გამოცდილი მმართველი გუნდი, როგორც წამყვან, ისე შუალედურ მენეჯერულ პოზიციებზე; ჯგუფის საქმიანობის წარმატებულად წარმართვაში არსებით როლს ასრულებს ადამიანური რესურსი, ამიტომ ჯგუფი ცდილობს შექმნას ოპტიმალური პირობები ეფექტური შრომისა და კარიერული განვითარებისათვის.

თანამშრომლის შერჩევისას, მნიშვნელოვანია, რომ ჯგუფის პერსონალი კონკრეტული პოზიციის მიხედვით აკმაყოფილებდეს ჯგუფის გარკვეულ მოთხოვნებს. თანამშრომლის დაქირავებისას, კანდიდატს აქვს გასაუბრება ადამიანური რესურსების მართვის უფროსთან და გენერალურ დირექტორთან. დაქირავება ასევე უნდა შეთანხმდეს ჯგუფის დედა კომპანიასთან და კანდიდატი გამოიკითხება უშუალოდ სათაო ოფისის კოლეგების მიერ.

აღსანიშნავია, რომ ჯგუფი მკაცრად იცავს თანამშრომლებისა და მომხმარებლების პერსონალურ მონაცემებს, რისკების ადეკვატური დაცვის მექანიზმები პერიოდული გადახედვისა და განახლების საგანია.

ჯანმრთელობა და უსაფრთხოება სამუშაო ადგილზე - კანონმდებლობა ადგენს უსაფრთხოების მინიმალურ სტანდარტებს, ჯგუფი ცდილობს საერთაშორისოდ აღიარებული საუკეთესო პრაქტიკა გაითავისოს და შეუქმნას თანამშრომლებს შრომისთვის უსაფრთხო და ჯანსაღი გარემო.

კორუფციასთან ბრძოლა - ჯგუფის ფარგლებში დაუშვებელია კორუფცია და ქრთამის აღება/მიცემა, მიუხედავად მისი ოდენობისა და გამოხატვის ფორმისა. ჯგუფი მკაცრად აფასებს ნებისმიერ ქმედებასა თუ ტრანზაქციას, რომელიც შეიძლება აღქმული იქნეს, როგორც არამართლზომიერი გავლენა ჯგუფისკენ მიმართულ გადაწყვეტილებებზე.

კვლევები და გარემოს დაცვასთან დაკავშირებული ღონისძიებები - ჯგუფს 2018 წლის მდგომარეობით არ ჩაუტარებია კვლევები და გარემოს დაცვასთან დაკავშირებული ღონისძიებები.

ჯგუფის განვითარების გეგმები

ჯგუფის უმთავრესი მიზანია, კლიენტებისთვის საიმედო საკრედიტო მომსახურების შეთავაზება მათთან გრძელვადიანი ურთიერთობის დამყარებით.

2018 წელს ჯგუფს ბაზარზე გარკვეული ვარდნის მიუხედავად, ჰქონდა წლის განმავლობაში პორტფელის მნიშვნელოვანი ზრდა. ჯგუფმა შექმნა ახალი პროდუქტი 50%-იანი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, საქართველოს ახალი რეგულაციებისა და ინვესტორებისთვის იგივე შემოსავლის მიღების შესაბამისად.

ჯგუფმა განახორციელა სტაბილური და დამაჯერებელი საქმიანობა 2018 წლისთვის. ასევე განახორციელა მდგრადი ზრდის სტრატეგია, რომელიც ფოკუსირებულია საკრედიტო პროდუქტებისა და სესხების პორტფელების ხარისხის გაუმჯობესებაზე, მოგების ზრდის პროცესზე და მომხმარებელთა გამოცდილების შემოწმებასა და გაუმჯობესებაზე. დასახული შემდეგი სტრატეგიული მიდგომისა და ძალისხმევის წყალობით:

- ყურადღება გამახვილდება საქართველოში არაუზრუნველყოფილ სამომხმარებლო სესხების პორტფელების ზრდაზე
- მომხმარებელთა იდენტიფიკაციის პროცესი განვითარდა დამატებითი იდენტიფიკაციის საშუალებების დანერგვით და გამოსაყენებელი საკრედიტო ბაზების გაფართოვებით. განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდება თაღლითობის საწინააღმდეგო საშუალებებზე. ამ ყველაფრის წყალობით, ჯგუფი მნიშვნელოვნად განავითარებს სასესხო პორტფელების ხარისხს.
- დიდი ძალისხმევა ჩაიდო შიდა კონტროლის სისტემის განვითარებაში, რითაც ხელი შეეწყო ფინანსური სექტორის ბრძოლას ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ; lendo.ge პლატფორმამ შემოიღო უფრო მკაცრი AML/ CTF მოთხოვნები, რომლის შესაბამისადაც გაუმჯობესდა ფულის გათეთრების საწინააღმდეგო და მომხმარებლის შესახებ ინფორმაციის გაზრდის პროცედურები.

მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ ჯგუფის ფინანსური მდგომარეობა არის და იქნება სტაბილური და ამზადებს ყოველწლიურ ანგარიშს უწყვეტი საწარმოს ფუნქციონირებადობის დაშვების საფუძველზე. შეცვლილი ბაზრის ანალიზი, ახალ რეგულაციებზე ადაპტირება, ახალი პროდუქტების დანერგვა და მათი მომგებიანობის შემთხვევაში მათი გაშვება გააუმჯობესებს ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობას. დამატებით ჯგუფმა 2019 წლის განმავლობაში მოიზიდა ფულადი სახსრების ჯგუფის დედა კომპანიის მიერ საკუთარ კაპიტალში ფულადი შენატანებით, რაც აუმჯობესებს ჯგუფის ლიკვიდურობას.

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

მენეჯმენტს გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა ჯგუფის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება ჯგუფის ფინანსური მხარისთვის. ჯგუფის წინაშე არსებული რისკები, მოცემულია ქვემოთ:

საკრედიტო რისკი - საკრედიტო რისკი წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ დანაკარგს მეორე მხარისთვის ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო. საკრედიტო რისკის წინაშე ჯგუფი დგება სესხების გაცემით და სხვა სახის ოპერაციებით, როდესაც ურთიერთობისას წარმოიშობა ფინანსური აქტივი.

ჯგუფის ძირითადი საქმიანობა სესხების გაცემაა და შესაბამისად, საკრედიტო რისკი, მსგავსად სხვა ფინანსური ინსტიტუტებისა, უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს მისი რისკების მართვაში. იმისათვის,

რომ მსგავსმა შემთხვევებმა ჯგუფის ფინანსური მდგომარეობა მნიშვნელოვნად არ დააზარალოს, გამოიყენება სხვადასხვა სამუშაო მეთოდი, რაც უზრუნველყოფს საკრედიტო რისკების დროულად იდენტიფიცირებასა და მათ ეფექტურად მართვას.

ჯგუფს საკრედიტო რისკის (იგულისხმება როგორც საბალანსო, ისე არასაბალანსო რისკები) მართვის მიზნით შემუშავებული აქვს პოლიტიკები და პროცედურები. საკრედიტო პოლიტიკა განიხილება და მტკიცდება საზედამხედველო საბჭოს მიერ. ჯგუფი რეგულარულად აკვირდება ინდივიდუალური სესხების საკრედიტო რისკებს და მუდმივად აფასებს კლიენტების კრედიტუნარიანობას. მიმოხილვა დაფუძნებულია განახლებულ ფინანსურ ინფორმაციაზე, რომელსაც იღებს საკრედიტო პერსონალი მონიტორინგის შედეგად. შემდეგ ინფორმაცია გადის რისკზე დაფუძნებულ შეფასებას საკრედიტო მენეჯმენტის მიერ.

საბაზრო რისკი - საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გავლენით. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას ჯგუფის მიერ პროცენტიანი, სავაჭრო ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები შეიცვლება უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი) და საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი).

სავალუტო რისკი - სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. სავალუტო რისკი არანაკლებ გავლენას ახდენს ჯგუფის ფინანსური რისკების განსაზღვრაში. ჯგუფი ატარებს სავალუტო რისკს, რომელიც დაკავშირებულია მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებთან.

საპროცენტო განაკვეთის რისკი - საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე. ეს რისკი შესაძლოა წარმოიშვას აქტივებისა და ვალდებულებების მიღება/დაფარვის ვადების შეუსაბამობით, ასევე იმ შემთხვევაში, თუ ასეთი აქტივები და ვალდებულებები დამოკიდებულია კურსის ცვლილებაზე.

ჯგუფის ყველა პროცენტის მატარებელი აქტივი და ვალდებულება აქვს ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით, შესაბამისად საბაზრო საპროცენტო განაკვეთის ცვლილებას არ აქვს გავლენა ჯგუფის შემოსავლებსა და ხარჯებზე.

ლიკვიდურობის რისკში - ლიკვიდურობის რისკში იგულისხმება საკმარისი ფინანსური რესურსის არსებობა, რომ მოხდეს სესხების გასტუმრება და სხვა ფინანსური ვალდებულებების დაფარვა შესაბამის ვადაში.

ლიკვიდურობის რისკის მართვის მიზნით ჯგუფი ახორციელებს ფულადი ნაკადების რეგულარულ მონიტორინგს, რაც ასევე აქტივების და ვალდებულებების მართვის პროცესის ნაწილია. ლიკვიდურობის ანალიზი და საპროცენტო განაკვეთის რისკები წარმოდგენილია შემდეგ ცხრილებში. ქვემოთ მოყვანილი პრეზენტაცია ეფუძნება ჯგუფის ძირითადი მენეჯმენტის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას.

კონკურენტები - 2018 წლის განმავლობაში, ძირითადად ეროვნული ბანკის ახალი რეგულაციების გამო, ფინანსურ ბაზარზე კონკურენტების რაოდენობა შემცირდა. რეგულაციებმა უარყოფითად იმოქმედა ეფექტურ საპროცენტო განაკვეთზე და მომხმარებელთა უფლებების დაცვის სიახლეზე. შესაბამისად, არსებულმა რეგულაციებმა გარკვეული კონკურენტები მიიყვანა ბიზნეს ოპერაციების შეჩერებამდე.

პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა. პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა ყოველთვის უარყოფით გავლენას ახდენს მომხმარებელზე. შესაბამისად, მსგავსი რისკები ყოველთვის გასათვალისწინებელია საქართველოსთვის და მსგავსი ქვეყნებისთვის.

ლენდო ჯგუფი

მმართველობის კონსოლიდირებული ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის

ანგარიშგების მომზადებასა და წარმოდგენაზე პასუხისმგებელი პირები

ლენდო ჯგუფის 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2019 წლის 13 დეკემბერს შემდეგი პირების მიერ:

გენერალური დირექტორი /გიორგი რამაზაშვილი/

ფინანსური მენეჯერი /გიგა გრიგოლია/